

სსიპ “ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“

სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV კოდი - 45300000

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ბათუმი

2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
3. დამატებითი ინფორმაცია
4. დანართი N1 რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი
5. დანართი N2 ხარჯთაღრიცხვა

1. პრეტენდენტმა (იურიდიული ან ფიზიკური პირი) უნდა წარმოადგინოს;

- 1.1. რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი დანართი N1-ის მიხედვით
- 1.2. ხარჯთაღრიცხვა დანართი N2-ს შესაბამისად.
- 1.3. ინფორმაცია სამუშაოების შესრულების ვადის შესახებ.
- 1.4. ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოების საგარანტიო პირობების შესახებ

1.2 ანგარიშსწორების პირობები:

1.2.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.

1.2.2 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.2.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

1.2.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

1.3 სამუშაოს აღწერა

ქ. ბათუმში, ქვედა სამებაში მდებარე სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს ეზოს ნაწილზე ბეტონის ღობის მოწყობა - თავისი გასაგორებელი ჭიშკარით

1.4. მომსახურების პირობები და ვადები:

1.4.1. სარემონტო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად.

1.4.2. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი

1.4.3. სამუშაოების ჩატარების ადგილია - ქ. ბათუმი, ქვედა სამება

1.4.4. სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადა - ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 45 დღე.

1.4.6. პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 (სამ) წელს სამუშაოების დასრულების მომენტიდან.

1.5. დამატებითი მოთხოვნები

1.5.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.5.2. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

1.5.3. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორცაა: ტრანსპორტირების და განბაჟების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

1.5.4. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

1.5.5. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.5.6. შეუსაბამობის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.5.7. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ. ბათუმი

2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ცენტრის უფროსის რამაზ სურმანიძის სახით და მეორეს მხრივ, _____ — (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი _____ სახით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA _____) ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ფასების ცხრილი“ – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „ფასების ცხრილი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს შემსყიდველის სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს ეზოს ნაწილის ბეტონის ღობის შემოვლება-თავისი ჭიშკარით, (დანაყოფის კოდი CPV -45300000) შემდეგში „შესყიდვის ობიექტი/მომსახურება“, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. სარემონტო სამუშაოების ფასები განსაზღვრულია დანართN2-ით (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. დაფინანსების წყარო - სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს საკუთარი შემოსავლები.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. სარემონტო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად.

4.2. ძირითადი სამუშაოების ჩატარება, რომელიც ხელს შეუშლის ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას, უნდა განხორციელდეს არასამუშაო საათებში და უქმე დღეებში.

4.3. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

4.4. სამუშაოების ჩატარების ადგილია - ქ. ბათუმი, ქვედა სამება, სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“-ს ადმინისტრაციული შენობის ეზო

4.5. სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადა - ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 45 დღე

4.6. პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 (სამ) წელს სამუშაოების დასრულების მომენტიდან.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები (შემსყიდველის მხრიდან - მიღება-ჩაბარების კომისია) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიმღები კომისია ახორციელებს მომსახურების მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ გაწეული მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება, აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 8.1 პუნქტის შესაბამისად.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებზე.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები და სხვა სამუშაო პირობები.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. თუ მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,2 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობისას შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ის ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი ძალის გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “დაუძლეველი ძალა” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი ძალის გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება,

მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

12.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ როგორც კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ასევე სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ - „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“	
ს/კ 245645235	
ელ. ფოსტა: Samebalab@gmail.com	
მის: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება	
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	
ბანკის კოდი – UGEBGE22	
ა/ა GE16VT5500000000593608	
ცენტრის უფროსი: რამაზ სურმანიძე	

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში.

ქალაქი ბათუმი, დასახლება ქვედა სამება.

E-mail: samebalab@gmail.com

საკონტაქტო პირი: ლევან ბალაძე 591958830

1. პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი, გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი/ფაქსი/მობილური:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

(პრეტენდენტის დასახელება)

(შევსების თარიღი)

#	სამუშაოს აღწერილობა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ფასი (ლარი)
1	2	3	4	5
1	გრუნტის დამუშავება ხელით	კბმ	8,10	
1,1	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ		
2	გრუნტის უკუჩაყრა ხელით	კბმ	1,90	
2,1	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ		
3	ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება	ტნ	10,60	
3,1	სატრანსპორტო ხარჯები	ტნ	10,60	
4	მონოლითური ბეტონის საძირკველის მოწყობა ზეპირკვლით ბეტონი B15	კბმ	9,20	
4,1	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ		
4,2	ბეტონის ტუმბო	კუბ.მ.	9,34	
4,3	ბეტონი B15	კბმ	9,38	
4,4	ხის ფარი	კვმ	14,812	
4,5	ხე მასალა	კბმ	0,15824	
5	კედლის წყობა 40X20X20 საკედლე ბლოკებით	კბმ	11,60	
5,1	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ		
5,2	ცემენტის ხსნარი	კბმ	1,28	
5,3	ბლოკი 40X20X20	ცალი	725,00	
5,4	სხვა მასალები	ლარი	1,86	
6	ღობის კედლების შეღესვა ცემენტის ხსნარით	კვმ	146	
6,1	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ		
6,2	ხსნარის ტუმბო 3 კბმ/სთ	მანქ/სთ	3,94	
6,3	ცემენტის ხსნარი	კბმ	4,80	
7	ღობის კედლების შეღესვა მაღალხარისხოვანი ნესტგამძლე საღებავით	კვმ	146	

7,1	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ		
7,2	სადებავი წყალმუღსიური, წყალმდევი, სილიკონიანი	კბ	43,80	
7,3	ფითხი ფასადის	კბ	73,00	
7,4	სხვა მასალები	ლ	2,34	
8	ლითონკვადრატებით ჭიშკრებისა და კუტიკარის მოწყობა აქსესუარებით; (ჭიშკარი გასაგორებელი- მექანიკური 1 ცალი; კუტიკარი 1 ცალი)	გრძმ	5,8	
8,1	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ		
8,2	ლითონის მილი 150X150X6 მმ	გრძმ	5,10	
8,3	ლითონის მილი 100X100X5 მმ	გრძმ	4,80	
8,4	ლითონის მილი 80X80X5 მმ	გრძმ	21,00	
8,5	ლითონის მილი 60X40X3 მმ	გრძმ	6,00	
8,6	ლითონის მილი 40X40X3 მმ	გრძმ	73,60	
8,7	სავალი ღარი - ლითონის პროფილი	გრძმ	4,50	
8,8	ჭიშკრისა და კუტიკარის მოწყობილობები: (გორგოლაჭები, ელ. ძრავი ტროსით, ბეტონის მისაბრჯენები, სიგნალის ნათურა,)	კომპლექტი	1,00	
9	საკეტი მექანიზმები და ანჯამები	კომპლექტი	2,00	
9,1	ელექტროდი	კბ	36,00	
9	ღობის ლითონის ელემენტების შეღებვა	კვმ	24,70	
9,1	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ		
9,2	გრუნტი ანტიკოროზიული	კბ	3,71	
9,3	სადებავი სპეც. ლით. ზედაპირებისათვის	კბ	7,41	

	ზედნადები ხარჯები	8%		
	ჯამი ზედნადებ ხარჯებთან ერთად	ლარი		
	გეგმიური დაგროვება	5%		
	დღგ	18%		
	სულ	ლარი		